საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №101

2019წ. "18" 04

ქ.თბილისი

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სტატისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3^2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სტატისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 18 აპრილის №25 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
გიორგი ამილახვარი

მდივანი
ლევან გორდეზიანი